




GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES

გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
11 მაისი, 2021


- 27-28 აპრილის შეხვედრაზე აშშ-ს ცენტრალურმა ბანკმა (FED) უცვლელად შეინარჩუნა საპროცენტო განაკვეთები და ობლიგაციების შესყიდვის პროგრამა. ამასთან, FED-მა აღნიშნა, რომ ვაქცინაციის პროგრესისა და ეკონომიკის გაჯანსაღების მიუხედავად, ეკონომიკის დახმარების ტემპი არ შეიცვლება მანამ სანამ "მნიშვნელოვანი გაუმჯობესება" არ მოხდება დასაქმებისა და ინფლაციის მაჩვენებლებში. აპრილში გაიზარდა მოთხოვნა აშშ-ს სახაზინო აქტივებზე, აშშ-ს 10-წლიანი სახაზინო ობლიგაციის შემოსავლიანობა აპრილის ბოლოს 1.65%-მდე შემცირდა. ამასთან, აპრილში ჯო ბაიდენმა დააანონსა ფისკალური სტიმულირების ახალი \$1.8 ტრილიონიანი პროგრამა (ოჯახის დახმარების ფონდი).
- მაისის დასაწყისში ფინანსურ ბაზრებზე უარყოფითი გავლენა იქონია აშშ-ს ფინანსთა მინისტრის ჯანეტ იელენის განცხადებამ, რომ დაგეგმილი სტიმულირების პაკეტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რათა ეკონომიკის გადახურების თავიდან აცილება მოხდეს. განწყობებზე ასევე უარყოფითი გავლენა იქონია აშშ-ში დასაქმების შესახებ გამოქვეყნებულმა სიახლეებმა. აპრილში აშშ-ში მხოლოდ 266,000 სამუშაო ადგილი დაემატა, რაც ანალიტიკოსების მოლოდინზე მნიშვნელოვნად დაბალია, ხოლო უმუშევრობის დონე 6.0% - დან 6.1% -მდე გაიზარდა.
- გაზრდილმა ინფლაციურმა მოლოდინებმა ფინანსურ ბაზრებზე კორექტირება გამოიწვია. ინვესტორების განწყობები გაუარესდა განსაკუთრებით ტექნოლოგიურ კომპანიებზე. კერძოდ, NASDAQ-ის ინდექსი, რომელიც ძირითადად ტექნოლოგიურ კომპანიებს აერთიანებს აპრილის მეორე ნახევრიდან 7 მაისამდე 2.1%-ით დაეცა, მათ შორის მაისის პირველ კვირაში ინდექსმა 2 თვიან პერიოდში ყველაზე ცუდი ყოველკვირეული შედეგი აჩვენა.
- საერთო ჯამში, აპრილის მეორე ნახევრიდან 7 მაისამდე პერიოდში S&P 500 ინდექსი 1.1%-ით გაიზარდა და 4,200-ს მიაღწია. ამავე პერიოდში ასევე გაიზარდა დოუ ჯონსის ინდექსი, 1.7%-ით. ევროპული ინდექსები ამავე პერიოდში მცირედით გაიზარდა, კერძოდ STOXX ინდექსი 0.6%-ით გაიზარდა, ხოლო FTSE 250-მა კი 1.3%-იანი ზრდა აჩვენა.

S&P 500 (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ იან თებ მარ აპრ

Dow Jones Industrial Average (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ იან თებ მარ აპრ

NASDAQ (აშშ)




იან თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ იან თებ მარ აპრ

STOXX 600 (ევროპა)




იან თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ იან თებ მარ აპრ

FTSE 250 (ლონდონი)



თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ თებ მარ აპრ

**Emerging Markets Index
(განვითარებადი ქვეყნები)**



თებ მარ აპრ მაი ივნ აგვ სექ ოქტ ნოვ დეკ თებ მარ აპრ

წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 7 მაისის მდგომარეობით

- ჩინეთში ეკონომიკის გამოცოცხლება გრძელდება, რასაც საგარეო ვაჭრობის მონაცემები მოწმობს. აპრილში გაიზარდა ჩინეთის როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის მაჩვენებლები. ამასთან, ექსპორტის ზრდა ანალიტიკოსების მოლოდინებზე მაღალი იყო, რაც ჩინურ პროდუქციაზე გაზრდილ მოთხოვნაზე მიუთითებს. ჩინეთის შანხაის ინდექსი აპრილის მეორე ნახევრიდან მაისის პირველ კვირამდე პერიოდში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.
- იაპონიაში, კორონავირუსის შემთხვევების მატების გამო იაპონიის მთავრობამ საგანგებო მდგომარეობა 31 მაისამდე გადაწია. აპრილის ბოლოსთვის იაპონიის Nikkei 225 ინდექსი 1.3%-ით დაეცა მარტის ბოლოსთან შედარებით, თუმცა მაისის პირველ კვირაში ფასები გაიზარდა და ინდექსი 2.4%-ით 29,518-მდე გაიზარდა.


ნავთობი და ოქრო

- 6 მაისს, აშშ-ში ნავთობპროდუქტების ერთ-ერთი მთავარი მილსადენი - რომელზეც აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის ნავთობის მიწოდების თითქმის ნახევარი მოდის - გაჩერდა კიბერ შეტევის გამო, რამაც მიწოდების შეფერხება გამოიწვია. შედეგად, ნავთობის ფასები კიდევ უფრო გაიზარდა. მაისის პირველ კვირაში WTI ტიპის ნავთობის ფასი 2.8%-ით გაიზარდა და 10 მაისისთვის ბარელზე \$65.3 შეადგინა, ხოლო Brent-ის ტიპის ნავთობის ფასი 2.2%-ით გაიზარდა \$68.8-მდე. აღსანიშნავია, რომ ეს ყველაზე მაღალი მაჩვენებელია 2019 წლის მერე.
- ეკონომიკის აღდგენის არაერთგვაროვანი სიგნალების შედეგად ოქროზე მოთხოვნა გაიზარდა და შესაბამისად ფასებიც და 2021 წლის 10 მაისისთვის ტროის უნციაზე სამ თვიან მაქსიმუმს \$1,835-ს მიაღწია.


Volatility/მერყეობა ბაზარზე

- მაისის დასაწყისში აშშ-ში, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, კიდევ უფრო შემცირდა და 10 მაისის მდგომარეობით 17.4 შეადგინა.

Nikkei 225 (იაპონია)




Shanghai Composite Index (ჩინეთი)




ოქრო



ნავთობი (WTI)



ვოლატილობა (Vix)



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 7 მაისის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძვლს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, ამჟამად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, ამჟამად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, ამჟამად გამოხატულს ან ნაგულისხმევის, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge